



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 27 თებერვლის
 # 2319 დადგენილებით
მოდირიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2017 წლის 10 აგვისტოს
 #2538 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მევენახეობა და ენოლოგია

Viticulture and Enology

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

Agriculture Sciences and Bio-Systems Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

მალრაძე დავით პროფესორი
 ხომასურიძე მარიამი-პროფესორი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი მევენახეობისა და მეღვინეობის სპეციალიზაციით მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 210 კრედიტისა და თავისუფალი კომპონენტების არანაკლებ 30 კრედიტის კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

მომზადოს მევენახეობისა და ენოლოგიის დარგის სპეციალისტები, რომელთაც ვენახის აგრო-ტექნოლოგიური ღონისძიებების, საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გააზრების, მათ წარმართვაში მონაწილეობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ექნება ყურძნის მოყვანისა და ღვინის წარმოების სექტორში მოღვაწეობის და კარიერის განვითარების შესაძლებლობა. შეასწავლოს მევენახეობის და

ენოლოგიის ძირითადი პრინციპები და ელემენტები, ყურძნიდან ღვინის წარმოების სხვადასხვა მეთოდები, მევენახეობის წარმოებაზე, ღვინის ხარისხზე, შედგენილობაზე მოქმედი ფაქტორები, ყურძნის მოყვანის წესები, წარმოების ეკონომიკური ასპექტები, დარგის რეგულირების ამოცანები და მევენახეობისა და ენოლოგიისათვის დადგენილი მოთხოვნები. მისცეს საწარმოს ლაბორატორიაში მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილება.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 27 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

ერთი წლის სასწავლო პროცესი (2 სემესტრი, 21-21 კვირა, ჯამში 42 კვირა) გაწერილია შემდეგნაირად: თითოეულ სემესტრში 15 კვირა ეთმობა სწავლებას, VII და XIV კვირა- შუალედურ გამოცდებს, ხოლო XVIII, XIX, XX და XXI კვირა ეთმობა დასკვნით და დამატებით გამოცდებს. დამატებითი გამოცდები ტარდება დასკვნითი გამოცდის შემდეგ მინიმუმ 10 დღიანი შუალედით.

პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის კვალიფიკაცია მიენიჭება ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 210 კრედიტის) და თავისუფალი კომპონენტების (არანაკლებ 30 კრედიტის) კომბინირებით, ჯამში არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობა (210 კრედიტი) მოიცავს:

ა) უცხოური ენის კომპონენტს - 22 კრედიტი. სწავლის დასაწყისში სტუდენტს აქვს უფლება ოთხი უცხოური ენიდან (ინგლისური, რუსული, გერმანიული, ფრანგული) აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი და პირველი ოთხი სემესტრის განმავლობაში გაიაროს 6-6-5-5 კრედიტის მოცულობით.

ბ) საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კურსს - 5 კრედიტი (ფილოსოფიის შესავალი, საქართველოს ისტორია და კულტურა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია, აკადემიური წერა, კულტურა და თანამედროვეობა)

გ) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს რომელიც ისწავლება 164 კრედიტი; პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრების განმავლობაში სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლების ენა არის მხოლოდ ქართული. მეექვსე, მეშვიდე და მერვე სემესტრის განმავლობაში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსები ა) რომელთა სწავლების ენა ქართულია; ბ) რომელთა სწავლების ენა ინგლისურია. გ) კომბინირებულად ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებით.

გ) სპეციალობის სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსები - გათვალისწინებულია 6 კრედიტის ოდენობით მეშვიდე სემესტრში. პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები.

დ) პრაქტიკული მომზადების კურსი: პროგრამაში წარმოდგენილია 10 კრედიტის ოდენობით. პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი პრაქტიკული მომზადების სასწავლო კურსები.

ე) დამამათავრებელი ნაშრომი: დამამათავრებელი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია, თემატიკის შერჩევის, შეფასების და დაცვის წესი თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას და დამტკიცებულია აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

თავისუფალი კომპონენტებიდან (თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან) სტუდენტი ირჩევს საგანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს არანაკლებ

30 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევს თავისუფალი კომპონენტების აირჩიოს და გაიაროს სწავლების სხვადასხვა სემესტრებში, კერძოდ: მესამე სემესტრში 10 კრედიტის ოდენობით, მეოთხე სემესტრში 5 კრედიტის ოდენობით და მეხუთე სემესტრში 15 კრედიტის ოდენობით.

პირველ სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ოთხი სასწავლო კურსი და უცხოური ენა - 6 კრედიტი. ჯამში 28 კრედიტი.

მეორე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ოთხი სასწავლო კურსი, უცხოური ენა - 6 კრედიტი და საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსი - 5 კრედიტი, ჯამში 32 კრედიტი.

მესამე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ოთხი სასწავლო კურსი, უცხოური ენა - 5 კრედიტი და ერთი თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსი, თითოეული 5 კრედიტი. ჯამში სემესტრში 32 კრედიტი.

მეოთხე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სამი სასწავლო კურსი, უცხოური ენა - 5 კრედიტი, ერთი თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსი - 5 კრედიტი. ჯამში 28 კრედიტი;

მეხუთე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ორი სასწავლო კურსი, ოთხი 5კრედიტიანი თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსი - ჯამში 29 კრედიტი;

მექვესე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო ექვსი სასწავლო კურსი - ჯამში 31 კრედიტი; სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სწავლების ენის შესაბამისად, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

მეშვიდე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის სამი სავალდებულო სასწავლო კურსი და სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კურსები 6 კრედიტი.

მერვე სემესტრში - გათვალისწინებულია სპეციალობის ოთხი სავალდებულო სასწავლო კურსი, დამამთვარებელი ნაშრომი 3 კრედიტი და 10 კრედიტის მოცულობით პრექტიკის კომპონენტი.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის შესახებ იხილეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/marTvis_instr_25.02.16_SD.PDF

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

- **ცოდნა და გაცნობიერება** – მევენახეობისა და ენოლოგიის დარგის ფართო ცოდნა. ყურძნის მოყვანის ძირითადი პრინციპების: ვაზის ზრდა განვითარებისას მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების, ვაზის დაავადებებისაგან დაცვის და ნიადაგის განაყოფიერებისათვის საჭირო აგრო-ტექნიკური ღონისძიებების ცოდნა და გაცნობიერება. ვაზის ძირითად ჯიშების ცოდნა. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოების ძირითადი პრინციპების: ტექნოლოგიური ოპერაციების, მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, გამოყენებული მანქანა აპარატების და მასალების ცოდნა. პროდუქციის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების: ნიადაგის, კლიმატის, ეკოლოგიური ფაქტორები, ნედლეულის შედგენილობის,

ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: სავენახე ნაკვეთის შერჩევაში, ნერგის წარმოებაში, ვენახის გაშენებაში, ყურძნის მოყვანისათვის საჭირო აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის უნარი; რთველის განხორციელებაში, ყურძნის გადამუშავებასა და ღვინოპროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის უნარი. ტექნოლოგიური პროცესების ცალკეულ ეტაპებზე, ტკბილის, ღვინომასალის და ღვინის, მისგან წარმოებული მაღალალკოჰოლური სასმელების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების განსაზღვრის და ორგანოლექტიკური შეფასების უნარი; ვენახსა და საწარმოში გამოყენებული მანქანა აპარატების ოპერირები უნარი.
- **დასკვნის უნარი** – მევენახეობისა და მეღვინეობის სფეროსათვის დამახასიათებელი, ნედლეულის და პროდუქციის რაოდენობის, ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობის, გამოყენებული მასალების და საშუალებების, ბაზრის მოთხოვნების მონაცემების შეგროვება და განმარტება. მევენახეობა-ენოლოგიის დარგში, ყურძნისა და ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, ვენახსა და საწარმოში შექმნილი სიტუაციების, პროდუქციის დარგის მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის ანალიზისა და არსებულ მდგომარეობაზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- **კომუნიკაციის უნარი** – ყურძნის მოყვანასა და მისგან პროდუქციის წარმოებაზე საკუთარი იდეების, დარგში, ვენახსა და საწარმოში, პროდუქციის ბაზარზე, წარმოების რეგულირებაში, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება: პრეზენტაციების, მონაცემთა ბაზების, სავარაუდო რისკებზე და მოსალოდნელ შედეგებზე ვიზუალური მასალების მომზადება;
- **სწავლის უნარი** – მევენახეობა-ენოლოგიის დარგში მოღვაწეობისათვის და კარიერის განვითარებისათვის შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნაზე ორიენტირება: ლიტერატურული წყაროების მოძიება, სასწავლო მასალებზე დამოუკიდებლად მუშაობა, დარგობრივი მასალის გაგება-ათვისება, პრაქტიკული საქმიანობით თეორიული ცოდნის გაღრმავება.
- **ღირებულებები** – მევენახეობა-ენოლოგიის დარგში დამკვიდრებული ღირებულებების პატივისცემა. მეღვინეობის დარგში წინაპართა ტრადიციებსა და ისტორიაზე დაფუძნებული, თანამედროვეობასთან შერწყმული ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები მეთოდებში, რომელიც მოცემულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული

შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. შემთხვევების შესწავლა (Case study) – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

7. გონებრივი იერიში (Brain storming) – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

9. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ

შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ

15. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. ლაბორატორიული მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

18. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან

რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>.

დასაქმების სფერო

- 1) ყურძნისული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების საწარმოები (ღვინის მარნები, ბრენდის და ყურძნის არყის ქარხნები, საოჯახო წარმოებები).
- 2) კერძო კომპანიები რომელთა საქმიანობა მოიცავს ვენახების გაშენებას, ყურძნის მოყვანასა ვაზის ნერგის წარმოებას (ვენახები და სანერგეები).
- 3) სახელმწიფო ორგანიზაციები: ა)სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურები: სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“ , სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ , სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“ ; ბ) საქართველოს პარლამენტი -აგრარულ საკითხთა კომიტეტი.
- 4) აგრარული დარგის არასამთვრობო ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები.
- 5) ყურძნისული წარმოშობის ალკოლური სასმელების (აკრედიტირებული, სამეცნიერო კვლევითი, საწარმოს კუთვნილი) ლაბორატორიები.
- 6) მეღვინეობა მევენახეობის დარგისათვის განკუთვნილი მასალების, აპარატების, მოწყობილობების მწარმოებელი და სადისტრიბუციო კომპანიები.
- 7) ღვინის მარკეტინის, დისტრიბუციის და კომერციალიზაციის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 86

პროგრამაში არსებული საგნობრივი დატვირთვა

	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1.	MSAG108GA1-LP	მათემატიკა და სტატისტიკა 1: მათემატიკა	არ გააჩნია	6							
2.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა		6							
2.1.	FLNE112GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) - 1.1	არ გააჩნია								
2.2.	FLNE112GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური)-1	არ გააჩნია								
2.3.	FLNR112GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 1	არ გააჩნია								
2.4.	FLNG112GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 1	არ გააჩნია								
2.5.	FLNF112GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 1	არ გააჩნია								
3.	BOTAN10GA2-LS	მცენარეთა ბიოლოგია 1. მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა	არ გააჩნია	5							
4.	GNOCH10GA1-LP	ზოგადი და არაორგანული ქიმია	არ გააჩნია	6							
5.	INTC508GA1-LB	ინფორმაციული ტექნოლოგიები 5	არ გააჩნია	5							
6.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა		6							
6.1.	FLEE2212GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) -2.2	უცხოური ენა (ინგლისური) - 1.1								
6.2.	FLNE212GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) -2	უცხოური ენა (ინგლისური)-1								
6.3.	FNLR212GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 2	უცხოური ენა (რუსული) - 1								
6.4.	FNLG212GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 2	უცხოური ენა (გერმანული) - 1								
6.5.	FNLF212GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 2	უცხოური ენა (ფრანგული) - 1								
7.	PLCIT10GA2-LS	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია	მცენარეთა ბიოლოგია 1. მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა		5						
8.	ORGC110GA1-LSB	ორგანული ქიმია 1	ზოგადი და არაორგანული ქიმია		6						
9.	MSAG208GA1-LP	მათემატიკა და სტატისტიკა 2: სტატისტიკა	მათემატიკა და სტატისტიკა 1: მათემატიკა		4						
10.		არჩევითი სასწავლო კურსები:	არ გააჩნია		5						

10.1.	IPHIL12GA3-LS	ფილოსოფიის შესავალი	არ გააჩნია										
10.2.	HICUG12GA3-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ გააჩნია										
10.3.	SOC0012GA3-LS	სოციოლოგია	არ გააჩნია										
10.4.	POL0007GA3-LS	პოლიტოლოგია	არ გააჩნია										
10.5.	APPSY12GA3-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	არ გააჩნია										
10.6.	ACAW012GA3-LP	აკადემიური წერა	არ გააჩნია										
10.7.	CAM0007GA3-LS	კულტურა და თანამედროვეობა	არ გააჩნია										
11.	PHE0110GA1-LB	ფიზიკა	არ გააჩნია		6								
12.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა 3											
12.1.	FLNE3312GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) -3.3	უცხოური ენა (ინგლისური) -2.2										
12.2.	FLNE312GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – 3	უცხოური ენა (ინგლისური) -2			5							
12.3.	FNLR312GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 3	უცხოური ენა (რუსული) - 2										
12.4.	FLNG312GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 3	უცხოური ენა (გერმანული) - 2										
12.5.	FLNG312GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 3	უცხოური ენა (ფრანგული) - 2										
13.	PLCIT10GA2-LS	აგრარული ქიმია 1. მცენარეთა ბიოქიმია და ფიზიოლოგია	ორგანული ქიმია 1			6							
14.	MICB110GA1-LSB	მიკრობიოლოგია 1: ზოგადი მიკრობიოლოგია	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია			6							
15.	ECOBA10GA1_L S	ეკოლოგიის საფუძვლები	არ გააჩნია			5							
16.		თავისუფალი კომპონენტები	არ გააჩნია			5							
17.	AGCSC10GA1-LSB	აგრარული ქიმია 2. ნიადაგის ქიმია	აგრარული ქიმია 1. მცენარეთა ბიოქიმია და ფიზიოლოგია			5							
18.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა 4											
18.1.	FLNE4412GA2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – 4.4	უცხოური ენა (ინგლისური) -3.3							5			
18.2.	FLNE412GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – 4	უცხოური ენა (ინგლისური) – 3										
18.3.	FNLR412GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 4	უცხოური ენა (რუსული) - 3										
18.4.	FLNR412GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 4	უცხოური ენა (გერმანული) - 3										

18.5.	FLNG412GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 4	უცხოური ენა (ფრანგული) - 3								
19.	PRECO12GA2 - LS	ეკონომიკის პრინციპები	არ გააჩნია				6				
20.	AGRNM10GA1-LS	აგრონომია	არ გააჩნია				6				
21.	ENFER10GA1-LS	ენოლოგიისა და ფერმენტაციის ქიმია	ორგანული ქიმია 1				6				
22.		თავისუფალი კომპონენტები					5				
23.	SAEMM03GA1-LB	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	არ გააჩნია					4			
24.		თავისუფალი კომპონენტები	არ გააჩნია					20			
25.	UNOP10EA1-LPB	ენოლოგია 1. მოწყობილობათა ოპერაციები	მათემატიკა და სტატისტიკა 1: მათემატიკა , ფიზიკა					5			
	სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კომპონენტები (სასწავლო კურსები)										
26.	VPENT10GA1-LP	ვაზის დაცვა 1: ენტომოლოგია	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია						5		
26.2.	VPENT10EA1-LS	Vine protection 1: Entomology	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია								
27.	BAGVP10GA1-LS	ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 1: ფიზიოლოგია	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია აგროქიმია 2. ნიადაგის ქიმია						5		
27.2.	BAGVP10GA1-LS	Biology and Genetics of Vine 1: Physiology	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია აგროქიმია 2. ნიადაგის ქიმია								
28.	VPPPA10GA1-LP	ვაზის დაცვა 2. მცენარეთა პათოლოგია	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია						5		
28.2.	VPPPA10EA1-LP	Vine protection 2: Plant pathology	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია								
29.	ENANL10GA1-B	ენოქიმური ანალიზები	ენოლოგიისა და ფერმენტაციის						6		

29.1.			ქიმია								
29.2.	ENANL10EA1-B	Enochemical analyses	ენოლოგიისა და ფერმენტაციის ქიმია								
30. 30.1.	BGVAM10GA1-LS	ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 2. ამპელოგრაფია და გენეტიკური გაუმჯობესება	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია, აგროქიმია 2. ნიადაგის ქიმია					5			
30.2.	BGVAM10EA1-LS	Biology and genetics of vine 2: ampelography and genetic improvement	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია, აგროქიმია 2. ნიადაგის ქიმია								
31. 31.1.	EPAEE10GA1-LSP	ენოლოგია 2: ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები	ენოლოგიისა და ფერმენტაციის ქიმია; ენოლოგია 1: მოწყობილობათა ოპერაციები					5			
31.2.	EPAEE10EA1-LSK	Enology 2: Principles and Elements of Enology	ენოლოგიისა და ფერმენტაციის ქიმია; ენოლოგია 1: მოწყობილობათა ოპერაციები								
32. 32.1.	EEPOF10GA1-LS	მევენახეობა მეღვინეობის ეკონომიკა და კანონმდებლობა	ეკონომიკის პრინციპები							8	
32.2.	EEPOF10EA1-LS	Economics and Policy of Viticulture systems	ეკონომიკის პრინციპები								
33. 33.1.	VEEWD10GA1-LP	ენოლოგიისა და მევენახეობის ინჟინერინგი 1: საწარმოს კონსტრუირება	ენოლოგია 2: ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები							5	
33.2.	VEEWD10EA1-LP	Viticulture and Enological Engineering 1: winery design	Enology 2: Principles and Elements of Enology								
34. 34.1.	WNBIO10GA1-LB	მიკრობიოლოგია 2: ღვინის მიკრობიოლოგია	მიკრობიოლოგია 1: ზოგადი მიკრობიოლოგია							6	

34.2.	WINMI10EA1-LB	Microbiology 2: wine microbiology	მიკრობიოლოგია 1: ზოგადი მიკრობიოლოგია									
35. 35.1.	ENSA210GA1-LSP	ენოლოგია 3: სენსორული ანალიზი	ენოლოგია 2. ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები, მიკრობიოლოგია 2: ღვინის მიკრობიოლოგია								5	
35.2.	ENSA210EA1-LSP	Enology 3: Sensory Analysis	Enology 2: Principles and Elements of Enology, Microbiology 2: wine microbiology									
36. 36.1.	FPRIV10GA1-R	პრაქტიკული მომზადების კურსი მევენახეობასა და ენოლოგიაში	ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 2. ამპელოგრაფია და გენეტიკური გაუმჯობესება, ენოლოგია 2. ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები									10
36.2.	FPRIV10EA1-R	Practical internship viticulture and Enology	Biology and genetics of vine 2: ampelography and genetic improvement, Enology 2: Principles and Elements of Enology									
37. 37.1.	GPVTP10GA1-LRS	ქართული ყურძნის ჯიშები, ტექნოლოგიები და პრაქტიკა ტრადიციულ ღვინის საწარმოში	ენოლოგია 2. ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები									
37.2.	GPVTP10EA1-LRS	Georgian grape varieties, technologies and practice in traditional winery	Enology 2: Principles and Elements of Enology								6	
37.3.	TDBPC10GA1-LRS	დისტილირებული სასმელების ტექნოლოგია და პრაქტიკა ბრენდის საწარმოში	ენოლოგია 1. მოწყობილობათა ოპერაციები									

37.4.	TDBPC10EA1-LRS	Technologies of distilled beverages and practice in brandy company	ენოლოგია 1. მოწყობილობათა ოპერაციები									
38. 38.1.	ENTOP10GA1-LSK	ენოლოგია 4: ტექნოლოგია და ენოლოგიური პროცესები	ენოლოგია 2: ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები; მიკრობიოლოგია 2: ღვინის მიკრობიოლოგია									6
38.2.	ENTOP10EA1-LSK	Enology 4: Technologies and enological processes	Enology 2: Principles and Elements of Enology, Microbiology 2: wine microbiology									
39. 39.1.	VCUTE10GA1-LS	მევენახეობა: კულტივირების ტექნოლოგია	აგრონომია, ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 2. ამპელოგრაფია და გენეტიკური გაუმჯობესება									6
39.2.	VCUTE10EA1-LS	Viticulture: cultivation techniques	აგრონომია, Biology and genetics of vine 2: ampelography and genetic improvement									
40. 40.1.	VEEMV10GA1-LP	ენოლოგიისა და მევენახეობის ინჟინერინგი 2. მევენახეობის მექანიზაცია	აგრონომია									5
40.2.	VEEMV10EA1-LP	Viticulture and Enological Engineering 2: mechanization of vineyard	აგრონომია									
41. 41.1.		დამამთავრებელი ნაშრომი	ენოლოგიისა და მევენახეობის ინჟინერინგი 1: საწარმოს კონსტრუირება. ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 2. ამპელოგრაფია და გენეტიკური გაუმჯობესება									3
41.2.		Final report	Viticulture and Enological Engineering 1: winery design, Biology and genetics of vine 2: ampelography and genetic improvement									
				სემესტრში:	28	32	32	28	29	31	30	30

წელიწადში:	60	60	60	60
სულ:	240			

თავისუფალი კომპონენტები (მოდული/საგანი)

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი
42.	ITHIC12GA1-LS	იტალიის ისტორია და კულტურა	არ გააჩნია	5
43.	HVIWI12GA1-LS	მევენახეობის და მეღვინეობის ისტორია	არ გააჩნია	5
44.	THMNG10GA1-LS	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	არ გააჩნია	5
45.	ACLIM10GAI-LP	აგროკლიმატოლოგია	არ გააჩნია	5
46.	CUMBC10GA1-LS	ერთწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანა	არ გააჩნია	5
47.	CTT4108GA1-LS	კრეატიული აზროვნება	არ გააჩნია	5
48.	FUBDB08GA2-B	მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლები	არ გააჩნია	5
49.	PREVE12GA1-P	Professional English in viticulture and enology	არ გააჩნია	5
50.	ORGAG10GA1-LS	ორგანული სოფლის მეურნეობა	არ გააჩნია	5

სწავლის შედეგების რუკა

			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	საგნის კოდი	საგანი						
1.	MSAG108GA1-LP	მათემატიკა და სტატისტიკა 1: მათემატიკა	X	X	X		X	
2.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა						
2.1.	FLNE112GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) - 1.1	X	X		X	X	
2.2.	FLNE112GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური)-1	X	X		X	X	
2.3.	FLNR112GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 1	X	X		X	X	
2.4.	FLNG112GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 1	X	X		X	X	
2.5.	FLNF112GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 1	X	X		X	X	
3.	BOTAN10GA2-LS	მცენარეთა ბიოლოგია 1. მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა	X	X	X	X		X
4.	GNOCH10GA1-LP	ზოგადი და არაორგანული ქიმია	X	X		X	X	
5.	INTC508GA1-LB	ინფორმაციული ტექნოლოგიები 5	X	X		X		
6.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა						
6.1.	FLEE2212GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) -2.2	X	X		X	X	
6.2.	FLNE212GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) -2	X	X		X	X	
6.3.	FNLR212GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 2	X	X		X	X	
6.4.	FNLG212GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 2	X	X		X	X	
6.5.	FNLF212GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 2	X	X		X	X	
7.	PLCIT10GA2-LS	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია	X	X	X	X		X
8.	ORGC110GA1-LSB	ორგანული ქიმია 1	X	X		X	X	
9.	MSAG208GA1-LP	მათემატიკა და სტატისტიკა 2: სტატისტიკა	X	X	X		X	
10.		არჩევითი სასწავლო კურსები:						
10.1.	IPHIL12GA3-LS	ფილოსოფიის შესავალი	X	X		X	X	X
10.2.	HICUG12GA3-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	X	X	X			X
10.3.	SOC0012GA3-LS	სოციოლოგია	X		X			X
10.4.	POL0007GA3-LS	პოლიტოლოგია	X	X	X	X		
10.5.	APPSY12GA3-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	X	X	X			
10.6.	ACAW012GA3-LP	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	
10.7.	CAM0007GA3-LS	კულტურა და თანამედროვეობა	X					X
11.	IPHIL12GA3-LS	ფიზიკა	X		X	X		
12.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა 3						
12.1.	FLNE3312GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) -3.3	X	X		X	X	
12.2.	FLNE312GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) - 3	X	X		X	X	
12.3.	FNLR312GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 3	X	X		X	X	
12.4.	FLNG312GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 3	X	X		X	X	
12.5.	FLNG312GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 3	X	X		X	X	
13.	PLCIT10GA2-LS	აგრარული ქიმია 1. მცენარეთა ბიოქიმია და	X	X	X	X		X

		ფიზიოლოგია						
14.	MICB110GA1-LSB	მიკრობიოლოგია 1: ზოგადი მიკრობიოლოგია	X	X	X	X		
15.	ECOBA10GA1_L S	ეკოლოგიის საფუძვლები	X		X	X		X
16.		თავისუფალი კომპონენტები						
17.	AGCSC10GA1-LSB	აგრარული ქიმია 2. ნიადაგის ქიმია	X	X	X			
18.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა 4						
18.1.	FLNE4412GA2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – 4.4	X	X		X	X	
18.2.	FLNE412GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – 4	X	X		X	X	
18.3.	FNLR412GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 4	X	X		X	X	
18.4.	FLNR412GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 4	X	X		X	X	
18.5.	FLNG412GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 4	X	X		X	X	
19.	PRECO12GA2 - LS	ეკონომიკის პრინციპები	X	X	X			
20.	AGRNM10GA1-LS	აგრონომია	X	X				X
21.	ENFER10GA1-LS	ენოლოგიისა და ფერმენტაციის ქიმია	X	X	X			
22.		თავისუფალი კომპონენტები						
23.	SAEMM03GA1-LB	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	X	X	X	X		
24.		თავისუფალი კომპონენტები						
25.	UNOP10EA1-LPB	ენოლოგია 1. მოწყობილობათა ოპერაციები	X	X		X	X	
სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კომპონენტები (სასწავლო კურსები)								
26.1.	VPENT10GA1-LP	ვაზის დაცვა 1: ენტომოლოგია	X	X	X	X		
26.2.	VPENT10EA1-LS	Vine protection 1: Entomology	X	X	X	X		
27.1.	BAGVP10GA1-LP	ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 1: ფიზიოლოგია	X	X	X	X		
27.2.	BAGVP10GA1-LS	Biology and Genetics of Vine 1: Physiology	X	X	X	X		
28.1.	VPPPA10GA1-LP	ვაზის დაცვა 2. მცენარეთა პათოლოგია	X	X	X	X		
28.2.	VPPPA10EA1-LP	Vine protection 2: Plant pathology	X	X	X	X		
29.1.	ENANL10GA1-B	ენოქემური ანალიზები		X	X			
29.2.	ENANL10EA1-B	Enochemical analyses		X	X			
30.1.	BGVAM10GA1-LS	ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 2. ამპელოგრაფია და გენეტიკური გაუმჯობესება	X	X	X	X		
30.2.	BGVAM10EA1-LS	Biology and genetics of vine 2: ampelography and genetic improvement	X	X	X	X		
31.1.	EPAEE10GA1-LSP	ენოლოგია 2: ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები	X	X	X			
31.2.	EPAEE10EA1-LSK	Enology 2: Principles and Elements of Enology	X	X	X			
32.1.	EEPOF10GA1-LS	მევენახეობა მეღვინეობის ეკონომიკა და კანონმდებლობა	X	X	X	X		
32.2.	EEPOF10EA1-LS	Economics and Policy of Viniculture systems	X	X	X	X		
33.1.	VEEWD10GA1-LP	ენოლოგიისა და მევენახეობის ინჟინერინგი 1: საწარმოს კონსტრუირება	X	X	X			
33.2.	VEEWD10EA1-LP	Viticulture and Enological Engineering 1: winery design	X	X	X			
34.1.	WNBIO10GA1-LB	მიკრობიოლოგია 2: ღვინის მიკრობიოლოგია	X	X	X	X		
34.2.	WINMI10EA1-LB	Microbiology 2: wine microbiology	X	X	X	X		
35.1.	ENSA210GA1-LSP	ენოლოგია 3. სენსორული ანალიზი	X	X	X	X		
35.2.	ENSA210EA1-LSP	Enology 3: Sensory Analysis	X	X	X	X		
36.1.	FPRIV10GA1-R	პრაქტიკული მომზადების კურსი მევენახეობასა და ენოლოგიაში		X	X	X		
36.2.	FPRIV10EA1-R	Practical internship viticulture and Enology		X	X	X		
37.1.	GPVTP10GA1-LRS	ქართული ყურძნის ჯიშები, ტექნოლოგიები და პრაქტიკა ტრადიციულ ღვინის საწარმოში	X	X	X			X
37.2.	GPVTP10EA1-LRS	Georgian grape varieties, technologies and practice in	X	X	X			X

		traditional winery							
37.3.	TDBPC10GA1-LRS	დისტილირებული სასმელების ტექნოლოგია და პრაქტიკა ბრენდის საწარმოში	X	X	X				X
37.4.	TDBPC10EA1-LRS	Technologies of distilled beverages and practice in brandy company	X	X	X				X
38.1.	ENTOP10GA1-LSK	ენოლოგია 4. ტექნოლოგია და ენოლოგიური პროცესები	X	X	X				X
38.2.	ENTOP10EA1-LSK	Enology 4: Technologies and oenological processes	X	X	X				X
39.1.	VCUTE10GA1-LS	მევენახეობა: კულტივირების ტექნოლოგია	X	X	X	X			
39.2.	VCUTE10EA1-LS	Viticulture: cultivation techniques	X	X	X	X			
40.1.	VEEMV10GA1-LP	ენოლოგიისა და მევენახეობის ინჟინერინგი 2. მევენახეობის მექანიზაცია	X	X	X				X
40.2.	VEEMV10EA1-LP	Viticulture and Enological Engineering 2: mechanization of vineyard	X	X	X				X
41.1.		დამამთავრებელი ნაშრომი	X	X	X	X	X	X	X
41.2.		Final report	X	X	X	X	X	X	X
42.	ITHIC12GA1-LS	იტალიის ისტორია და კულტურა	X		X	X			X
43.	HVIWI12GA1-LS	მევენახეობის და მეღვინეობის ისტორია	X	X	X				X
44.	THMNG10GA1-LS	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	X	X	X				X
45.	ACLIM10GAI-LP	აგროკლიმატოლოგია	X	X	X				X
46.	CUMBC10GA1-LS	ერთწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანა	X	X	X	X			
47.	CTT4108GA1-LS	კრეატიული აზროვნება		X	X				X
48.	FUBDB08GA2-B	მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლები		X	X				X
49.	DAC0007GA3-LS	დემოკრატია და მოქალაქეობა	X	X	X				X
50.	RATPD07GA3-LS	ორატორული ხელოვნება (საჯარო კამათის ტექნოლოგიები)	X	X	X	X	X	X	
51.	PREVE12GA1-P	Professional English in viticulture and enology	X	X			X	X	
52.	ORGAG10GA1-LS	ორგანული სოფლის მეურნეობა	X	X	X				

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საათები	საგანი	ECTS კრედიტი/ საათი	ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური შეფასება/დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	MSAG108GA1-LP	მათემატიკა და სტატისტიკა 1: მათემატიკა	6/162	2/30		2/30					2/1	-/99
2.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა										
2.1.	FLNE112GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) - 1.1	6/162			4/60					2/1	-/99
2.2.	FLNE112GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური)-1	6/162								2/1	-/99

2.3.	FLNR112GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 1	6/162						2/1	-/99
2.4.	FLNG112GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 1	6/162						2/1	-/99
2.5.	FLNF112GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 1	6/162						2/1	-/99
3.	BOTAN10GA2-LS	მცენარეთა ბიოლოგია 1. მცენარეთა მორფოლოგია და სისტემატიკა	5/135	1/15	2/30				2/1	-/87
4.	GNOCH10GA1-LP	ზოგადი და არაორგანული ქიმია	6/162	2/30		2/30			2/1	-/99
5.	INTC508GA1-LB	ინფორმაციული ტექნოლოგიები 5	5/135	1/15			2/30		2/1	-/87
6.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა								
6.1.	FLEE2212GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) - 2.2	6/162			4/60			2/1	-/99
6.2.	FLNE212GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) -2	6/162			4/60			2/1	-/99
6.3.	FNLR212GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 2	6/162			4/60			2/1	-/99
6.4.	FNLG212GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 2	6/162			4/60			2/1	-/99
6.5.	FNLF212GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 2	6/162			4/60			2/1	-/99
7.	PLCIT10GA2-LS	მცენარეთა ბიოლოგია 2: მცენარეთა ციტოლოგია და ანატომია	5/135	1/15			2/30		2/1	-/87
8.	ORGC110GA1-LSB	ორგანული ქიმია 1	6/162	1/15	1/15		2/30		2/1	-/99
9.	MSAG208GA1-LP	მათემატიკა და სტატისტიკა 2: სტატისტიკა	4/108	1/15		1/15			2/1	-/75
10.		არჩევითი სასწავლო კურსები:								
10.1.	IPHIL12GA3-LS	ფილოსოფიის შესავალი	5/135	1/15	2/30				2/1	-/87
10.2.	HICUG12GA3-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5/135	1/15	2/30				2/1	-/87
10.3.	SOC0012GA3-LS	სოციოლოგია	5/135	1/15	2/30				2/1	-/87
10.4.	POL0007GA3-LS	პოლიტოლოგია	5/135	1/15	2/30				2/1	-/87
10.5.	APPSY12GA3-LS	გამოყენებითი ფსიქოლოგია	5/135	1/15	2/30				2/1	-/87
10.6.	ACAW012GA3-LP	აკადემიური წერა	5/135	1/15		2/30			2/1	-/87
10.7.	CAM0007GA3-LS	კულტურა და თანამედროვეობა	5/135	1/15	2/30				2/1	-/87
11.	PHE0110GA1-LB	ფიზიკა	6/162	2/30		2/30			2/1	-/99
12.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა 3								
12.1.		უცხოური ენა (ინგლისური) - 3.3	5/135			3/45			2/1	-/87
12.2.	FLNE312GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) - 3	5/135			3/45			2/1	-/87
12.3.	FNLR312GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 3	5/135			3/45			2/1	-/87
12.4.	FLNG312GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 3	5/135			3/45			2/1	-/87

12.5.	FLNG312GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 3	5/135			3/45				2/1	-/87
13.	PLCIT10GA2-LS	აგრარული ქიმია 1. მცენარეთა ბიოქიმია და ფიზიოლოგია	6/162	230			2/30			2/1	-/99
14.	MICB110GA1-LSB	მიკრობიოლოგია 1: ზოგადი მიკრობიოლოგია	6/162	1/15	1/15		2/30			2/1	-/99
15.	ECOBA10GA1_L S	ეკოლოგიის საფუძვლები	5/135	1/15	2/30					2/1	-/87
16.		თავისუფალი კომპონენტები									
17.	AGCSC10GA1-LSB	აგრარული ქიმია 2. ნიადაგის ქიმია	5/135	1/15	1/15		1/15			2/1	-/87
18.		არჩევითი სასწავლო კურსები: უცხოური ენა 4								2/1	-/87
18.1.	FLNE4412GA2-P	უცხოური ენა (ინგლისური) – 4.4	5/135			3/45				2/1	-/87
18.2.	FLNE412GA3-P	უცხოური ენა (ინგლისური) – 4	5/135			3/45				2/1	-/87
18.3.	FNLR412GA3-P	უცხოური ენა (რუსული) - 4	5/135			3/45				2/1	-/87
18.4.	FLNR412GA3-P	უცხოური ენა (გერმანული) - 4	5/135			3/45				2/1	-/87
18.5.	FLNG412GA3-P	უცხოური ენა (ფრანგული) - 4	5/135			3/45				2/1	-/87
19.	PRECO12GA2 - LS	ეკონომიკის პრინციპები	6/162	2/30	2/30					2/1	-/99
20.	AGRNM10GA1-LS	აგრონომია	6/162	2/30	2/30					2/1	-/99
21.	ENFER10GA1-LS	ენოლოგიისა და ფერმენტაციის ქიმია	6/162	2/30	2/30					2/1	-/99
22.		თავისუფალი კომპონენტები									
23.	SAEMM03GA1-LB	შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა	4/108	1/15			1/15			2/1	-/75
24.		თავისუფალი კომპონენტები									
25.	UNOP10EA1-LPB	ენოლოგია 1. მოწყობილობათა ოპერაციები	5/135	1/15		1/15	1/15			2/1	-/87
სპეციალობის სავალდებულო არჩევითი კომპონენტები (სასწავლო კურსები)											
26.1.	VPENT10GA1-LP	ვაზის დაცვა 1: ენტომოლოგია	5/135	1/15		2/30				2/1	-/87
26.2.	VPENT10EA1-LS	Vine protection 1: Entomology	5/135	1/15		2/30				2/1	-/87
27.1.	BAGVP10GA1-LS	ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 1: ფიზიოლოგია	5/135	1/15		2/30				2/1	-/87
27.2.		Biology and Genetics of Vine 1: Physiology	5/135	1/15	2/30					2/1	-/87
28.1.	VPPPA10GA1-LP	ვაზის დაცვა 2. მცენარეთა პათოლოგია	5/135	1/15		2/30				2/1	-/87
28.2.	VPPPA10EA1-LP	Vine protection 2: Plant pathology	5/135	1/15			2/30			2/1	-/87
29.1.	ENANL10GA1-B	ენოქიმიური ანალიზები	6/162				4/60			2/1	-/99
29.2.	ENANL10EA1-B	Enochemical analyses	6/162				4/60			2/1	-/99
30.1.	BGVAM10GA1-LS	ვაზის ბიოლოგია და გენეტიკა 2. ამპელოგრაფია და გენეტიკური გაუმჯობესება,	5/135	2/30	1/15					2/1	-/87
30.2.	BGVAM10EA1-LS	Biology and genetics of vine 2:	5/135	2/30	1/15					2/1	-/87

		ampelography and genetic improvement								
31.1.	EPAEE10GA1-LSP	ენოლოგია 2: ენოლოგიის პრინციპები და ელემენტები	5/135	1/15	1/15			1/15	2/1	-/87
31.2.	EPAEE10EA1-LSK	Enology 2: Principles and Elements of Enology	5/135	1/15	1/15			1/15	2/1	-/87
32.1.	EEPOF10GA1-LS	მევენახეობა მეღვინეობის ეკონომიკა და კანონმდებლობა	8/216	2/30	2/30	2/30			2/1	-/123
32.2.	EEPOF10EA1-LS	Economics and Policy of Viniculture systems	8/216	2/30	2/30	2/30			2/1	-/123
33.1.	VEEWD10GA1-LP	ენოლოგიისა და მევენახეობის ინჟინერინგი 1: საწარმოს კონსტრუირება	5/135	1/15		2/30			2/1	-/87
33.2.	VEEWD10EA1-LP	Viticulture and Enological Engineering 1: winery design	5/135	1/15		2/30			2/1	-/87
34.1.	WNBIO10GA1-LB	მიკრობიოლოგია 2: ღვინის მიკრობიოლოგია	5/135	2/30			2/30		2/1	-/87
34.2.	WINMI10EA1-LB	Microbiology 2: wine microbiology	5/135	1/15			2/30		2/1	-/87
35.1.	ENSA210GA1-LSP	ენოლოგია 3: სენსორული ანალიზი	5/135	1/15	1/15	1/15			2/1	-/87
35.2.	ENSA210EA1-LSP	Enology 3: Sensory Analysis	5/135	1/15	1/15	1/15			2/1	-/87
36.1.	FPRIV10GA1-R	პრაქტიკული მომზადების კურსი მევენახეობასა და ენოლოგიაში	10/270					8/120	2/1	-/150
36.2.	FPRIV10EA1-R	Practical internship viticulture and Enology	10/270					8/120	2/1	-/150
37.1.	GPVTP10GA1-LRS	ქართული ყურძნის ჯიშები, ტექნოლოგიები და პრაქტიკა ტრადიციულ ღვინის საწარმოში	6/162	1/15	1/15			-/30	2/1	-/99
37.2.	GPVTP10EA1-LRS	Georgian grape varieties, technologies and practice in traditional winery	6/162	1/15	1/15			-/30	2/1	-/99
37.3.	TDBPC10GA1-LRS	დისტილირებული სასმელების ტექნოლოგია და პრაქტიკა ბრენდის საწარმოში	6/162	1/15	1/15			-/30	2/1	-/99
37.4.	TDBPC10EA1-LRS	Technologies of distilled beverages and practice in brandy company;	6/162	1/15	1/15			-/30	2/1	-/99
38.1.	ENTOP10GA1-LSK	ენოლოგია 4. ტექნოლოგია და ენოლოგიური პროცესები	6/162	2/30	1/15			1/15	2/1	-/99
38.2.	ENTOP10EA1-LSK	Enology 4: Technologies and oenological processes	6/162	2/30	1/15			1/15	2/1	-/99
39.1.	VCUTE10GA1-LS	მევენახეობა: კულტივირების ტექნოლოგია	6/162	2/30	2/30				2/1	-/99
39.2.	VCUTE10EA1-LS	Viticulture: cultivation techniques	6/162	2/30	2/30				2/1	-/99
40.1.	VEEMV10GA1-LP	ენოლოგიისა და მევენახეობის	5/135	2/30	1/15				2/1	-/87

		ინჟინერინგი 2. მევენახეობის მექანიზაცია									
40.2.	VEEMV10EA1-LP	Viticulture and Enological Engineering 2: mechanization of vineyard	5/135	2/30	1/15					2/1	-/87
41.1.		დამამთავრებელი ნაშრომი	3/81							1/15	-/66
41.2.		Final report	3/81							1/15	-/66
42.	ITHIC12GA1-LS	იტალიის ისტორია და კულტურა	5/135	1/15	2/30					2/1	-/87
43.	HVIWI12GA1-LS	მევენახეობის და მეღვინეობის ისტორია	5/135	1/15	2/30					2/1	-/87
44.	THMNG10GA1-LS	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი								2/1	-/87
45.	ACLIM10GAI-LP	აგროკლიმატოლოგია	5/135	1/15		2/30				2/1	-/87
46.	CUMBC10GA1-LS	ერთწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანა	5/135	1/15	2/30					2/1	-/87
47.	CTT4108GA1-LS	კრეატიული აზროვნება	5/135	1/15	2/30					2/1	-/87
48.	FUBDB08GA2-B	მონაცემთა ბაზების აგების საფუძვლები	5/135				3/45			2/1	-/87
49.	DAC0007GA3-LS	დემოკრატია და მოქალაქეობა	5/135	1/15		2/30				2/1	-/87
50.	RATPD07GA3-LS	ორატორული ხელოვნება (საჯარო კამათის ტექნოლოგიები)	5/135	1/15		2/30				2/1	-/87
51.	PREVE12GA1-P	Professional English in viticulture and enology	5/135			3/45				2/1	-/87
52.	ORGAG10GA1-LS	ორგანული სოფლის მეურნეობა	5/135	1/15	2/30					2/1	-/87

პროგრამის ხელმძღვანელები

მარიამ ხომასურიძე

დავით მადრაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარიამ ხომასურიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

მიღებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 20.02.2017 ოქმი №16

მოდირიგებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 02.08.2017 წელი, ოქმი №23
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

გიორგი ძიძიგური